ბსუ-ს წარმომადგენლობითი საბჭოს 2019 წლის 09 ივლისის N07-01/16 გადაწყვეტილების

დანართი N1

(კოდიფიცირებულია ცვლილებებით/დამატებებით:
20.04.2022, N07-001/24; **24.03.2026,** N07-01/14)

ბსუ-ს სამეცნიერო პერსონალის შრომის ანაზღაურების გაცემის წესი

1. ბსუ-ს დამოუკიდებელი სამეცნიერო-კვლევითი ერთეულის სამეცნიერო პერსონალისათვის (მთავარი მეცნიერი თანამშრომელი (ვადიანი/უვადო შრომითი ხელშეკრულებით), უფროსი მეცნიერი თანამშრომელი და მეცნიერი თანამშრომელი) განისაზღვრება ,,ა", ,,ბ" და ,,გ" კატეგორიის სამუშაო დატვირთვა.

2. **სამუშაო დატვირთვის შესაბამისი კატეგორია ენიჭება:**

2.1. 2019 წელის 1 აგვისტოდან 2020-2021 სასწავლო წლის დაწყებამდე პერიოდში:

ა) ,,ა" კატეგორია - სამეცნიერო თანამდებობის პირს, ვისთვისაც სამეცნიერო– კვლევითი საქმიანობის განსახორციელებლად ბსუ არის ძირითადი სამუშაო ადგილი და ასრულებს შრომითი ხელშეკრულებითა და ბსუ-ს სამართლებრივი აქტებით დადგენილ მოთხოვნებს;

ბ) ,,ბ" კატეგორია - სამეცნიერო თანამდებობის პირს, ვისთვისაც სამეცნიერო– კვლევითი საქმიანობის განსახორციელებლად ბსუ არის ძირითადი სამუშაო ადგილი, ასრულებს შრომითი ხელშეკრულებითა და ბსუ-ს სამართლებრივი აქტებით გათვალისწინებულ მოთხოვნებს და ამავდროულად უკავია ბსუ-ს აკადემიური, ადმინისტრაციული ან დამხმარე თანამდებობა, კერძოდ:

,,ბ1" კატეგორია - ვისაც ამავდროულად უკავია ბსუ-ს აკადემიური თანამდებობა;

,,ბ2" კატეგორია - ვისაც ამავდროულად უკავია ბსუ-ს ადმინისტრაციული ან დამხმარე თანამდებობა.

2.2. **2020-2021 სასწავლო წლის დასაწყისიდან:**

ა) **,,ა" კატეგორია** - სამეცნიერო თანამდებობის პირს, ვისაც შრომით-სამართლებრივი ურთიერთობა აქვს მხოლოდ ბსუ-სთან (ბსუ-ში ეწევა მხოლოდ სამეცნიერო–კვლევით საქმიანობას, შრომითი ხელშეკრულებითა და ბსუ-ს სამართლებრივი აქტებით დადგენილი მოთხოვნების შესაბამისად), ხოლო **,,ა1" კატეგორია** - სამეცნიერო თანამდებობის პირს, ვისაც <u>ძირითადი</u> შრომით-სამართლებრივი ურთიერთობა <u>აქვს ბსუ-სთან</u> (ასრულებს ამ წესით სამეცნიერო თანამდებობის პირის შრომითი დატვირთვის ,,ა" კატეგორიისათვის განსაზღვრულ სამუშაოს, დამსაქმებლის სამართლებრივი აქტით დადგენილი სამუშაო განრიგის და შინაგანაწესის შესაბამისად), მაგრამ **შეთავსებით დასაქმებულია სხვა დაწესებულებაში** (<u>ბსუ-ს რექტორის წერილობითი თანხმობით</u>**,** რაც არ ეწინააღმდეგება საქართველოს კანონმდებლობას და ხელს არ უშლის ბსუ-ში შრომითი დატვირთვის შესრულებას). *(ცვლილება - 24.03.2026, N07-01/14)*

ბ) **,,ბ" კატეგორია** - სამეცნიერო თანამდებობის პირს, ვისთვისაც სამეცნიერო– კვლევითი საქმიანობის განსახორციელებლად ბსუ არის ძირითადი სამუშაო ადგილი, ასრულებს შრომითი ხელშეკრულებითა და ბსუ-ს სამართლებრივი აქტებით გათვალისწინებულ მოთხოვნებს და ამავდროულად უკავია ბსუ-ს აკადემიური, ადმინისტრაციული ან დამხმარე თანამდებობა, კერძოდ:

,,ბ1" კატეგორია - ვისაც ამავდროულად უკავია ბსუ-ს აკადემიური თანამდებობა;

,,ბ2" კატეგორია - ვისაც ამავდროულად უკავია ბსუ-ს ადმინისტრაციული ან დამხმარე თანამდებობა.

გ) **,,გ"** კატეგორია - სამეცნიერო თანამდებობის პირს, ვისაც შრომით-სამარ- თლებრივი ურთიერთობა აქვს არამხოლოდ ბსუ-სთან (ბსუ-ში ეწევა ,,გ" კატეგორიის შრომითი დატვირთვის შესაბამის სამეცნიერო–კვლევით საქმიანობას, გაფორმებული შრომითი ხელშეკრულებითა და ბსუ-ს სამართლებრივი აქტებით დადგენილი მოთხოვნების შესაბამისად და ამავდროულად დასაქმებულია სხვა დაწესებულებაში).

3. ბსუ-ს სამეცნიერო პერსონალის შრომის ანაზღაურების ოდენობა განისაზღვრება ბსუ-ს საშტატო განრიგით, წინამდებარე წესით დადგენილი გამონაკლისების გათვალისწინებით და სამუშაო დატვირთვის კატეგორიების შესაბამისად, კერძოდ:

3.1. **,,ა" კატეგორიის** შრომითი დატვირთვის მქონე პერსონალისათვის - დაკავებული თანამდებობისათვის ბსუ-ს საშტატო განრიგით გათვალისწინებული ოდენობით;

3.2. **,,ბ" კატეგორიის** შრომითი დატვირთვის მქონე პერსონალისათვის:

3.2.1. **„ბ1“** კატეგორიის შრომითი დატვირთვისათვის (ვისაც ამავდროულად უკავია ბსუ-ს აკადემიური თანამდებობა)- ბსუ-ს საშტატო განრიგში მითითებული სახელფასო განაკვეთის სრული ოდენობით;

3.2.2. **„ბ2“** კატეგორიის შრომითი დატვირთვისათვის (ვისაც ამავდროულად უკავია ბსუ-ს ადმინისტრაციული ან დამხმარე თანამდებობა) - ბსუ- ს საშტატო განრიგით გათვალისწინებულ თანამდებობრივ სარგოზე 200 ლარით ნაკლებით (გავრცელდეს 2022 წლის 1 მაისიდან წარმოშობილ სამართლებრივ ურთიერთობებზე). *(ცვლილება - 20.04.2022, N07-01/24)*

3.3. **„გ“ კატეგორიის** შრომითი დატვირთვის მქონე პერსონალისათვის - ბსუ-ს საშტატო განრიგით გათვალისწინებულ თანამდებობრივ სარგოზე 200 ლარით ნაკლებით (ვრცელდება 2019 წლის 11 ივნისიდან წარმოშობილ სამართლებრივ ურთიერთობებზე). *(ცვლილება - 20.04.2022, N07-01/24)*

4. **„ა“ და „ბ“ კატეგორიის** შრომითი დატვირთვის მქონე სამეცნიერო პერსონალისათვის დასაშვებია არასაუნივერსიტეტო გრანტებსა და პროექტებში მონაწილეობა.

5. ბსუ-ს სამეცნიერო პერსონალის სამუშაო დატვირთვა უნდა შესრულდეს შესაბამისი დამოუკიდებელი სამეცნიერო-კვლევითი ერთეულის (ინსტიტუტის) სამუშაო გეგმით გათვალისწინებულ ვადებში, მათ შორის ბსუ-ს შინაგანაწესით განსაზღვრულ სამუშაო დღეებში და საათებში - ორშაბათიდან პარასკევის ჩათვლით, ბსუ-ს სამუშაო სივრცეში (შესაბამისი ინსტიტუტის ან/და ბსუ-ს ადმინისტრაციულ ტერიტორიაზე/სამუშაო ველზე/შენობაში/მივლინების ადგილზე).

6. ბსუ-ს სამეცნიერო თანამდებობის პირის მიერ ბსუ-ს აკადემიური თანამდებობის დაკავების ან საათობრივი ანაზღაურების წესით მოწვევის შემთხვევაში, აკადემიური დატვირთვის კატეგორია/საათობრივი დატვირთვის ზღვრული ოდენობა განესაზღვრება „ბსუ-ს აფილირების წესის“ შესაბამისად. *(ცვლილება - 24.03.2026, N07-01/14)*

7. ბსუ-ს სამეცნიერო თანამდებობის პირი, რომელიც ამავდროულად არის ეროვნული ან/და სხვა საგრანტო პროექტის მონაწილე ძირითადი პერსონალის წარმომადგენელი (მენეჯერი, ხელმძღვანელი, მკვლევარი) ან მოიპოვებს ინდივიდუალურ საერთაშორისო სამეცნიერო გრანტს, სტიპენდიას ან სხვა გრანტს (მათ შორის სადოქტორი, პოსტ-სადოქტორო), რომელიც ითვალისწინებს უცხო ქვეყნის უმაღლეს საგანმანათლებლო ან სამეცნიერო-კვლევით დაწესებულებაში (უნივერსიტეტში/ინსტიტუტში) საქმიანობის განხორციელებას, **უფლებამოსილია არაუმეტეს ერთი წლის ვადით გაემგზავროს** ქვეყნის გარეთ შესაბამის დაწესებულებაში სამეცნიერო აქტივობის შესასრულებლად (შემდეგში - ბსუ-ს მეცნიერის საერთაშორისო მობილობა), <u>თუმცა ვალდებულია შეასრულოს</u> ბსუ-ში შესაბამისი ინსტიტუტის განყოფილების სამეცნიერო თანამდებობის პირისათვის განსაზღვრული სამუშაო გეგმა (ამ გეგმის შესრულების მიზნით უნდა შეასრულოს ბსუ-ს შესაბამისი ინსტიტუტის დირექტორის/სამეცნიერო განყოფილების უფროსის და ბსუ-ს მართვის ორგანოთა მოთხოვნები (მათ შორის მიმდინარე ანგარიშების/სამეცნიერო ანგარიშის წარდგენის თაობაზე), ასევე ინდივიდუალური/ეროვნული/საერთაშორისო საგრანტო პროექტებით ნაკისრი ვალდებულებები (ასეთის არსებობის შემთხვევაში). ბსუ-ს მეცნიერის საერთაშორისო მობილობის პერიოდში ბსუ-ში მისაღები შრომის ანაზღაურება განისაზღვრება დასაქმებულის მიერ დაკავებული სამეცნიერო თანამდებობისათვის ბსუ-ს საშტატო განრიგით გათვალისწინებული ოდენობის 1/2-ით. ბსუ-ს სამეცნიერო თანამდებობის პირმა ამ პუნქტით გათვალისწინებული შეღავათით შესაძლოა ისარგებლოს ბსუ-ში შრომითი საქმიანობის პერიოდში 5 (ხუთ) წელიწადში ერთხელ (შესაძლოა ისარგებლოს მოკლევადიანი პერიოდით, ნაწილ-ნაწილ, მაგრამ ჯამში არაუმეტეს 12 თვე). ბსუ-ს მეცნიერის საერთაშორისო მობილობის პერიოდში ამ წესის ან/და ბსუ-ს უფლებამოსილი პირის კანონიერი მოთხოვნის შეუსრულებლობის ან არაჯეროვანი შესრულების შემთხვევაში, დასაბუთებული სამსახურებრივი ბარათის საფუძველზე შესაძლოა ინიცირებული იქნეს საკითხი, ამ პუნქტით გათვალისწინებული შეღავათის გაუქმების და საერთაშორისო მობილობის ვადაზე ადრე შეწყვეტის თაობაზე. *(ცვლილება - 24.03.2026, N07-01/14)*

8. წინამდებარე წესის მე-7 პუნქტით გათვალისწინებულ შემთხვევაში, სამეცნიერო თანამდებობის პირის შუამდგომლობას განიხილავს შესაბამისი ინსტიტუტის სამეცნიერო საბჭო, ინსტიტუტის დირექტორის მონაწილეობით და საბჭოს დადებითი გადაწყვეტილება, რექტორის მოადგილის (სამეცნიერო მიმართულებით) ვიზირებით წარედგინება ბსუ-ს რექტორს, შესაბამისი სამართლებრივი აქტის გამოცემის მიზნით.